სსიპ - ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და განვითარების წესი

1. მიზანი

1. საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, შემუშავებისა და განვითარების წესის (შემდეგში წესი) მიზანია ხელი შეუწყოს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას (შემდეგში კონსერვატორია) სასწავლო საქმიანობის პროცესში მისი ხედვის, მისიისა და სტრატეგიული მიზნების რეალიზებაში.

2. წესი შეესაბამება კონსერვატორიის სტრატეგიულ მიზნებს და ითვალისწინებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE), მუსიკის ხარისხის განვითარების ევროპული სააკრედიტაციო ორგანოს (MusiQuE), უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ევროპული ასოციაციის (ENQA) და სხვა შესაბამისი პროფესიული, ნორმატიული და მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნებს.

3. წესის მიზანია კონსერვატორიაში ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების (შემგომში პროგრამა) განხორციელება, რომლებიც ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1) დარგობრივი საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო/შემოქმედებით კვლევითი საქმიანობის განვითარება სახელმწიფოსა და საზოგადოების საჭიროებების, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და ტენდენციების გათვალისწინებით;
2) ტრადიციების (საშემსრულებლო, კომპოზიციის, სამუსიკისმცოდნეო) განვითარება;
3) მუსიკალური საზოგადოების თანამშრომლობა;
4) სწავლების, კვლევისა და შემოქმედებითი აქტივობის ინტეგრირება;
5) სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება;
6) უწყვეტი სამუსიკო განათლების სპეციფიკურობა;
7) საგანმანათლებლო საქმიანობისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია.

4. წესი ითვალისწინებს პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და განვითარების შემდეგ პროცედურულ ფაზებსა და ვადებს:

№	ფაზის დასახელება	მნიშვნელოვანი ვადები/თარიღები
1.	პროგრამის პროექტის ინიცირების ფაზა	ყოველი წლის სექტემბერ-ოქტომბერი ან/და მარტი-აპრილი

2.	პროგრამის პროექტის შეფასების კომისიის შექმნა	წარდგენიდან 10 კალენდარული დღე
3.	პროგრამის პროექტის შეფასების პროცესი	კომისიის შექმნიდან 30 კალენდარული დღე
4.	პროგრამის პროექტის ხარვეზის გამოსწორება	დასკვნის მიღებიდან 10 კალენდარული დღე
5.	პროგრამის პროექტის ფაკულტეტის საბჭოზე გაგზავნა დადებითი დასკვნის შემთხვევაში	ფაკულტეტის საბჭოზე საკითხის განხილვამდე სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე
6.	პროგრამის შემუშავების პროცესი	სულ მცირე 3 თვე
7.	პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ	30 კალენდარული დღე
8.	პროგრამის ფაკულტეტის საბჭოზე გაგზავნა დადებითი დასკვნის შემთხვევაში	ფაკულტეტის საბჭოზე საკითხის განხილვამდე სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე
9.	პროგრამის აკადემიურ საბჭოზე გაგზავნა ფაკულტეტის დადებითი დასკვნის შემთხვევაში	ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებიდან 14 სამუშაო დღის განმავლობაში, საკითხის განხილვამდე სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე.
10.	მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მოსამზადებელი პროცესის დაწყების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მიმართვა	აკრედიტაციის ვადის გასვლამდე სულ მცირე 1 წლით ადრე
11.	ახალი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მოსამზადებელი პროცესის დაწყების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მიმართვა	აკრედიტაციის მოპოვების სასურველ ვადამდე სულ მცირე 1 წლით ადრე
12.	მიმდინარე პროგრამის შუალედური შეფასების უზრუნველყოფა (იხ. დანართი 5)	აკრედიტაციის მოპოვებიდან მცირე 2 წელიწადში ერთხელ

2. პროგრამის ინიცირება

1. პროგრამის პროექტის ინიცირება შესაძლებელია განხორციელდეს კონსერვატორიის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და/ან პროფესორთა ჯგუფის (მათ შორის, მოწვეული პროფესორის), სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტებისა და დოქტორანტების, საქართველოსა და უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ერთობლივი პროგრამის განხორციელების შემთხვევაში), სხვა დაინტერესებული მხარის (საჯარო, კომერციული, შემოქმედებითი ინდუსტრიები) მიერ.

2. პროგრამის პროექტი ინიცირებისას უნდა განისაზღვროს და წარმოდგენილ იქნას: ა) პროგრამის აქტუალობა და კონცეფცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით; ბ) შრომის ბაზრის კვლევა; ბ) საჭირო რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ბიუჯეტი).
3. პროგრამის პროექტის ინიცირება ხორციელდება კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისადმი შესაბამისი განაცხადის ფორმის (იხ. დანართი №1) წარდგენით ყოველი წლის სექტემბერ-ოქტომბერსა და/ან მარტი-აპრილის თვეებში;
4. ინიცირებული პროგრამის პროექტის შეფასების პროცესს უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დარგის სპეციალისტის, ფინანსისტისა და სხვა სპეციალისტებისგან (საჭიროების შემთხვევაში) შემდგარი კომისიის ფარგლებში. კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ინიცირების განაცხადის ფორმის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.
5. კომისიის მიერ ინიცირებული პროგრამის პროექტის შეფასება ხორციელდება შესაბამისი ინდიკატორებისა (იხ. დანართი №2) და ფაკულტეტის/კონსერვატორიის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან შესაბამისობით;
6. კომისია 30 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს ინიცირებული პროგრამის პროექტსა და თანდართულ დოკუმენტაციას (იხ. ამ მუხლის მე-2 პუნქტი), რის საფუძველზეც ამზადებს დასკვნას, რომელიც შესაძლოა გულისხმობდეს შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთს: ა) გადაწყვეტილებას ახალი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით; ბ) გადაწყვეტილებას ახალი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით დაზუსტებული დოკუმენტაციის შესაბამის ვადაში წარდგენის პირობით; გ) გადაწყვეტილებას ახალი პროგრამის შემუშავებაზე უარის თქმის შესახებ.
7. კომისიის გადაწყვეტილება ახალი პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით დაზუსტებული დოკუმენტაციის შესაბამის ვადაში წარდგენის პირობით განისაზღვრება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა აკმაყოფილებს ინიცირებისათვის საჭირო ყველა მოთხოვნასა და შეფასების კრიტერიუმს, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას.
8. ამ მუხლის მე-7 პუქნტით განსაზღვრული გადაწყვეტილების შემთხვევაში პროგრამის ინიცირების ჯგუფს ეძლევა 10 კალენდარული დღე (დასკვნის მიღებიდან) დოკუმენტაციის გადასამუშავებლად და კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარსადგენად. ვადის დარღვევის და/ან დასაზუსტებელი ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია საკითხი დატოვოს განუხილველად.
9. ერთსა და იმავე პროგრამის პროექტის ინიცირების საკითხზე კომისიის ორგზის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში საკითხი არ ექვემდებარება ხელახალ საქმისწარმოებასა და განხილვას.
10. კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის პროექტის ინიცირებულ პაკეტს და კომისიის დასკვნას უგზავნის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრებს საკითხის განხილვამდე სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე;

11. ფაკულტეტის საბჭოზე ინიცირებული პროგრამის პროექტს წარადგენს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და პროგრამის ავტორი ან/და ავტორთა საინიციატივო ჯგუფი.
12. ფაკულტეტის საბჭო მსჯელობს ინიცირებული პროგრამისა და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისობაზე. დადებითი დასკვნის საფუძველზე ამტკიცებს ინიცირებულ პროგრამას.
13. ფაკულტეტის საბჭოს მიერ ინიცირებული პროგრამის და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისობაზე უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, პროგრამა უბრუნდება ავტორს/ავტორთა საინიციატივო ჯგუფს გადასამუშავებლად.
14. ფაკულტეტის საბჭოზე ინიცირებული პროგრამის დამტკიცების შემდეგ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი მოხსენებითი ბარათით მიმართავს კონსერვატორიის რექტორს ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.
15. კონსერვატორიის რექტორი პროგრამის შემუშავების მიზნით ქმნის სამუშაო ჯგუფს პროგრამის ინიცირების ეტაპზე ჩართული ყველა პირისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შემადგენლობით (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული ან/და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, უცხოელი ექსპერტი და სხვ).

3. პროგრამის შემუშავება

1. ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი გულისხმობს ე.წ. SPICES მოდელს (სტუდენტ-ცენტრული, პრობლემაზე დაფუძნებული, ინტეგრირებული, ინტერპროფესიონალური, საზოგადოების მოთხოვნებზე დამყარებული, არჩევითი, სისტემატური) და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
    - საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრას კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსთან და დარგობრივი მახასიათებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისობით;
    - პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრა;
    - სტუდენტთა სავარაუდო მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა;
    - მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განსაზღვრას;
    - ადამიანური რესურსების განსაზღვრას;
    - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო, შემოქმედებითი და/ან კვლევითი კომპონენტების განსაზღვრას;
    - სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების განსაზღვრას;
    - შეფასების მეთოდების განსაზღვრას;
    - დამატებითი ღირებულება (ე.წ. Added Value, (ასეთის არსებობის შემთვევაში);
2. სამუშაო ჯგუფი პირველივე შეხვედრაზე ირჩევს თავმჯდომარეს, მდივანს და განსაზღვრავს ფუნქციებს ჯგუფის წევრებს შორის.

3. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ჯგუფის სხვა წევრებთან შეთანხმებით უზრუნველყოფს განსახორციელებელი სამუშაოების, შეხვედრების განრიგისა და დღის წესრიგის განსაზღვრას;
4. სამუშაო ჯგუფის მდივანი უზრუნველყოფს სამუშაო ჯგუფის შეხვედრების საოქმო ჩანაწერებს;
5. სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელს ან/და ხელმძღვანელებს (ხელმძღვანელის ფუნქციები იხ. მუხლი 8), რომლებიც შესაძლოა იყოს/იყონ შესაბამისი დარგის პროფეროსი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პროფესორი.
6. სამუშაო ჯგუფი პროგრამის შემუშავების მიზნით იკრიბება სულ მცირე თვეში ორჯერ.
7. სამუშაო ჯგუფი პროგრამას ამუშავებს შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით (იხ. დანართი №3). პროგრამის შემუშავების პროცესი მოიცავს არანაკლებ 3 თვის ვადას.
8. სამუშაო ჯგუფის მიერ პროგრამის შემუშავების პროცესის დასრულების შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელი /თანახელმძღვანელი საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით უგზავნის განცხადებას, პროგრამასა და თანდართულ დოკუმენტაციას კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი რეაგირებისათვის;

4. პროგრამის განხილვა და დამტკიცება

1. კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რელევანტური ინდიკატორების (იხ. დანართი №4) მეშვეობით აფასებს პროგრამისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას კონსერვატორიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.
2. პროგრამასა და თანდართულ დოკუმენტაციაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამზადებს დასკვნას მკაფიოდ განსაზღვრული გასაუმჯობესებელი მხარეებისა და პროგრამის გადამუშავებისათვის საჭირო, რელევანტური ვადის მითითებით და უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს/ ხელმძღვანელებსა და სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს. დასკვნით განსაზღვრული ვადებისა და/ან რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წყვეტს საქმისწარმოების შემდგომ პროცედურებს.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა, თანდართული დოკუმენტაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა ეგზავნება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წევრებს საკითხის განხილვამდე, სულ მცირე, 5 სამუშაო დღით ადრე.
4. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო არგუმენტირებული მოსაზრებების არ არსებობის შემთხვევაში, ამტკიცებს მას.
5. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში 14 სამუშაო დღის ვადაში კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასა და ფაკულტეტის საბჭოს

გადაწყვეტილებას უგზავნის კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს წევრებს საკითხის განხილვამდე სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე.

6. განხილვის შედეგად კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს გამოაქვს შემდეგი სახის გადაწყვეტილება: ა) საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ; ბ) უარი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე.
7. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში აკადემიური საბჭო მოტივირებულ დასკვნას უგზავნის ფაკულტეტის საბჭოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესა და პროგრამის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს.
8. აკადემიური საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილებისა და მოტივირებული დასკვნის მიღების შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი /თანახელმძღვანელი, პროგრამის სამუშაო ჯგუფი და სხვა დაინტერესებული მხარეები შემდგომი რეაგირების მიზნით მოქმედებენ აკადემიური საბჭოს დასკვნაში ასახული მითითებებითა და/ან წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურით.
9. პროგრამის აკადემიური საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის დაზუსტების თაობაზე.
10. ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს პროგრამის სასწავლო დეპარტამენტისათვის გადაცემას კონსერვატორიის ვებ-გვერდზე/სტუდენტთა ელექტრონულ სისტემაში განსათავსებლად.

5. არსებული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

1. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება გულისხმობს პროგრამის მიზნის, სწავლის შედეგების, სასწავლო/კვლევითი და შემოქმედებითი კომპონენტის/კომპონენტების, სწავლებისა და შეფასების მეთოდებისა და ა.შ. მოდიფიცირებას.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით ყველა დაინტერესებული მხარის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვ.) ჩართულობის უზრუნველსაყოფად კონსერვატორიის რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი (ასეთის არ არსებობის შემთხვევაში).

3. პროგრამის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა შესაძლოა შეიცვალოს ობიექტურ გარმოებათა გათვალისწინებით, დისციპლინური ან/და ეთიკის ნორმების დარღვევების გამოვლენის შემთხევავში (იხ. კონსერვატორიის ეთიკის კოდექსი).

4. საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი პროგრამის განვითარების მიზნებისათვის ითვალისწინებს შემდეგ მონაცემებს:

ა) სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის ყოველწლიური ანგარიში (იხ. დანართი № 6);

ბ) პროგრამის სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები;

გ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის ყოველსემესტრული გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები;

დ) სტუდენტთა სერვისებით და მომსახურებით კმაყოფილების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები;

ე) კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე მომზადებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები;

ვ) დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები და ანალიზი;

ზ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შესახებ ინფორმაცია;

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტების რეალიზებას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი /თანახელმძღვანელი, ხოლო „ბ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ აქტივობებს უზრუნველყოფს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

6. პროგრამის ხელმძღვანელი / თანახელმძღვანელი ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას უზრუნველყოფს ყოველი აკადემიური წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ და მომზადებულ ანგარიშს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სამუშაო ჯგუფს, პროგრამაში ჩართულ პერსონალს, სტუდენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

7. პროგრამის ხელმძღვანელი / თანახელმძღვანელი ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას უზრუნველყოფს სულ მცირე 3 წელიწადში ერთხელ და მომზადებულ ანგარიშს აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სამუშაო ჯგუფს, პროგრამაში ჩართულ პერსონალს, სტუდენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

8. კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობას უზრუნველყოფს ყოველსემესტრულად, ხოლო „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ აქტივობებს სულ მცირე 3 წელიწადში ერთხელ. მომზადებულ ანგარიშებს აცნობს პროგრამაში ჩართულ პერსონალს, სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

9. საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფი ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს, შენიშვნებს, რჩევებს ან/და ჩარჩო დოკუმენტებს და შემდგომი რეაგირებისათვის უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს / ხელმძღვანელებს.

10. პროგრამის ხელმძღვანელი /თანახელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული პერსონალი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციების, შენიშვნების, რჩევების ან/და ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე პროგრამის მოდიფიცირებას და შეფასებისათვის წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

11. კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რელევანტური ინდიკატორების მეშვეობით (იხ. დანართი №4) აფასებს პროგრამის შესაბამისობას კონსერვატორიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან და დადებითი დასკვნის შემთხვევაში, პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს, შემდეგ კი – აკადემიურ საბჭოს წინამდებარე წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოდიფიცირებულ პროგრამაში ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში პროგრამა გადასამუშავებლად უბრუნდება პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს ან/და პროგრამის სამუშაო ჯგუფს.

6. პროგრამაში ტექნიკური ცვლილების შეტანა

1. პროგრამაში ტექნიკური ხასიათის ცვლილება გულისხმობს იმგვარ მოდიფიცირებას, რაც არ უკავშირდება პროგრამის მიზნის, სწავლის შედეგებისა და სწავლების ენის ცვლილებას.
2. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის განცხადებისა და ცვლილების პროექტის კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში წარდგენის საფუძველზე, რასაც შესაძლოა საფუძვლად ედოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის და/ან პროგრამის სამუშაო ჯგუფის დასაბუთებული ინიციატივა.
3. პროგრამაში შესატანი ცვლილების პროექტი უნდა მოიცავდეს ცვლილების დასაბუთებასა და პროგრამის სამუშაო ჯგუფის/ჯგუფების წევრთა 2/3-ის წერილობით თანხმობას. სამუშაო ჯგუფის წევრთა მიერ ცვლილების პროექტზე უარყოფითი პოზიციის დაფიქსირებისას, წარმოდგენილ უნდა იქნას წერილობითი დასაბუთება.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული ცვლილების პროექტი წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, ხოლო შემდეგ – კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს;
5. პროგრამაში ცვლილების პროექტს ამტკიცებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო.

7. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. საგანმანათლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შესაძლოა იყოს: ა) პროგრამის აკრედიტაციის გაუქმება/შეწყვეტა; ბ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დეფიციტი; გ) ცვლილებები საკანონმდებლო ჩარჩოში და სხვ.
2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ინიცირება შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამის ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელისა და პროგრამის სამუშაო ჯგუფის თანხმობის და არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე;

8. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი /თანახელმძღვანელი

1. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი არის პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირი, რომელსაც აქვს პროგრამის განვითარების ხედვა, გამოირჩევა მაღალი დარგობრივი და მენეჯერული კომპეტენციით. დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია ერთ პროგრამას ჰყავდეს ერთზე მეტი ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელის სტატუსით, რომელზეც თანაბრად ნაწილდება პასუხისმგებლობა.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს კონსერვატორიის არჩეული ან/და მოწვეული აკადემიური პერსონალი.
3. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ძირითადი ფუნქციაა პროგრამის შემუშავების კოორდინაცია, განხორციელების ხელშეწყობა, პროგრამის შეფასება, განვითარება და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი ზრუნავს პროგრამის მუდმივ განვითარებაზე, ასრულებს კანონმდებლობით და კონსერვატორიის სამართლებრივი აქტებით მასზე დაკისრებულ უფლებამოვალეობებს.
4. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, პასუხისმგებელია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაზე;
5. პროგრამის ხელმძღვანელი /თანახელმძვანელი შესაძლოა გათავისუფლდეს დაკისრებული ვალდებულებებისგან შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით პირადი განცხადების საფუძველზე ან კონსერვატორიის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების, წესებისა და რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში;

9. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების წესი

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით კონსერვატორიაში ხორციელდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება.

2. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას კოორდინირებას უწევს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3. შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი პროგრამის სამუშაო ჯგუფთან ერთად.
4. შეფასების პროცესი მოიცავს შემდეგ აქტივობებს, რომელთა პასუხისმგებელი პირები განსაზღვრულია წინამდებარე წესის მე-5 მუხლით:

   ა) სწავლის შედეგების შეფასების ყოველწლიური ანგარიში;

   ბ) პროგრამის სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვის წარმოება და შედეგების ანალიზი;

   გ) პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის ყოველსემესტრული გამოკითხვის წარმოება და შედეგების ანალიზი;

   დ) სტუდენტთა სერვისებითა და მომსახურებით კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვის წარმოება და შედეგების ანალიზი;

   ე) კურსდამთავრებულთა გამოკითხვის წარმოება (სამ წელიწადში ერთხელ) და შედეგების ანალიზი;

   ვ) დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები და ანალიზი (სამ წელიწადში ერთხელ);

   ზ) მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეფასება;
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული აქტივობების შედეგების შეჯერების საფუძველზე შეიმუშავებს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართულ რეკომენდაციებს.
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციები ეცნობა პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის სამუშაო ჯგუფს, შემდგომი რეაგირებისათვის (საჭიროების შემთხვევაში).

10. პროგრამის აკრედიტაციის პროცესის უზრუნველყოფა

1. საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების შემდეგ კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამის გარე შეფასებისათვის მომზადებას, რისთვისაც ხელმძღვანელობს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშით, აკრედიტაციის სტანდარტებითა და სხვა შესაბამისი წესებით, ან საერთაშორისო სააკრედიტაციო სააგენტოს რელევანტური მოთხოვნებით;
2. კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის შევსების კოორდინირებას, რა დროსაც განსაზღვრავს ვადებს, პასუხისმგებელ პირებსა და აკრედიტაციისათვის წარსადგენ ძირითადი და

დამატებითი (საჭიროების შემთხვევაში) დოკუმენტაციის ნუსხას, რასაც წერილობითი ფორმით აცნობებს პროგრამის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს.

3. კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, საჭირო ადმინისტრაციული ან/და დამხმარე პერსონალის გადამზადებას თვითშეფასების ანგარიშის შევსების პრინციპების გაცნობის მიზნით.
4. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადის გასვლამდე, ხოლო ახალი პროგრამის შემთხვევაში აკრედიტაციის მიღების სასურველ თარიღამდე სულ მცირე 1 წლით ადრე კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს განსახილველად გადაეცემა:

ა) საგანმანათლებლო პროგრამა;

ბ) სილაბუსები;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა;

გ) ცნობა ბიბლიოთეკიდან სავალდებულო ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში ხელმისაწვდომობის შესახებ; პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი საბიბლიოთეკო ფონდის ხელმისაწვდომობის შეფასება (თსკ-ს ბიბლიოთეკის დადასტურება, რომ ლიტერატურა, რომელიც მითითებულია სილაბუსებში, ფიქსირდება ბეჭდური ფორმით, ან ამ ლიტერატურასთან წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებით).

დ) პროგრამის ბიუჯეტი;

ე) პროგრამის განხორციელების აქტუალურობა და მნიშნელობა თსკ-ს ფაკულტეტის განვითარების, თსკ-ს სტრატეგიული გეგმის გათვალისწინებით;

ვ) ინფორმაცია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შესახებ (CV, სამეცნიერო სტატიების ჩამონათვალი და სხვა მონაცემები);

ზ)დაინტერესებული პირების (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვ.) ჩართულობის ამსახველი დოკუმენტაცია;

თ) პოტენციური დამსაქმებლის გამოკითხვისა და პროგრამის კურსდამთავრებულებზე ბაზრის მოთხოვნის ანალიზი.

11. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.
2. წინამდებარე წესი აუქმებს პროგრამის ინიცირებასთან, შემუშავებასა და განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა, მანამდე მოქმედ წესს, რეგულაციასა თუ დადგენილებას;

3. წესში ცვლილებები აისახება წესის გამოყენების შედეგების ანალიზის, საჭიროებების და/ან რელევანტურ ნორმატიულ დოკუმენტებში ცვლილებების შესაბამისად;
4. წესში ცვლილებების დამტკიცებას ახორციელებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო და/ან სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე რექტორის წარდგინებით.

დანართი № 1

პროგრამის პროექტის ინიცირების განაცხადის ფორმა

გთხოვთ, განიხილოთ საგანმანათლებლო პროგრამის _____

_____ (სახელწოდება, სწავლების საფეხური) პროექტი.

განაცხადს თან ახლავს თანდართული დოკუმენტაცია:

1) პროგრამის კონცეფცია *(გვერდების რაოდენობა ___);*
2) შრომის ბაზრის კვლევა *(გვერდების რაოდენობა ___);*
3) ადამიანური რესურსი *(გვერდების რაოდენობა ___);*
4) მატერიალური რესურსი *(გვერდების რაოდენობა ___);*
5) ბიუჯეტი *(გვერდების რაოდენობა ___);*

ავტორის /საინიციატივო ჯგუფის ხელმოწერა:

თარიღი:

საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შემუშავება და შეფასების ინდიკატორები

1. **კონცეფცია** - ზოგადი სახის დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საჭიროებას, ხედვას, ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტებს. მნიშვნელოვანია კონცეფცია შემუშავებულ იქნას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს შინაარსის, ამ სფეროს განვითარების ტენდენციების, ამ სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებისა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. კონცეფციაში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია განხორციელების საშუალებებზე. რეკომენდებულია კონცეფცია არ აღემატებოდეს 800 სიტყვას.
   კონცეფციის განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რესურსების დაზოგვის მიზნით, რათა არ მოხდეს ისეთი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება, რომლის საჭიროება არ არსებობს ან არ შეესაბამება კონსერვატორიის მისიასა და სტრატეგიული განვითარების მიზნებს, მათ შორის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების მიზნებს.

   კონცეფცია უნდა შედგებოდეს შემდეგი პუნქტებისგან:
   - შესავალი
   - სიტუაციის ანალიზი
   - ხედვა
   - პრინციპები
   - პრიორიტეტები
   - განხორციელება
   - ვადები

შეფასების ინდიკატორები:

	კრიტერიუმი	*განმარტება*
1)	ტექნიკური შესაბამისობა მოთხოვნებთან	რამდენად მოიცავს კონცეფციისათვის გათვალისწინებულ პუნქტებს.

2)	შინაარსობრივი შესაბამისობა	რამდენად შეესაბამება კონსერვატორიის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დეტალურ სფეროში არსებულ სწავლის სფეროს შინაარსს, სფეროს განვითარების ტენდენციებს, სფეროში მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებებსა და საერთაშორისო დონეზე არსებული საუკეთესო პრაქტიკებს.
3)	მტკიცებულებების შესაბამისობა	რამდენად ამყარებს ან/და შეესაბამება არგუმენტაცია და მტკიცებულებები კონცეფციით განსაზღვრულ ხედვას, პრინციპებსა და პრიორიტეტებს.

2. **შრომის ბაზრის კვლევა** - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უნდა მოხდეს შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. შრომის ბაზრის შესწავლისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ეროვნული ან/და საერთაშორისო შრომის ბაზრის თავისებურებები, ტენდენციები. შრომის ბაზრის კვლევის საინიციატივო ჯგუფი უფლებამოსილია წარმოადგინოს ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაციების, სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების ანგარიშების კვლევის შედეგები.

   საშრომის ბაზრის კვლევა უნდა შედგებოდეს შემდეგი პუნქტებისგან:

   - შესავალი
   - კვლევის მიზნები და ამოცანები
   - კვლევის მეთოდოლოგია
   - კვლევის შედეგები
   - დასკვნა
   - დანართები (კითხვარი, ფოკუს ჯგუფის ჩანაწერი და სხვ.)

შეფასების ინდიკატორები:

	კრიტერიუმი	*განმარტება*
1)	ტექნიკური შესაბამისობა მოთხოვნებთან	რამდენად მოიცავს გათვალისწინებულ პუნქტებს. რამდენად სწორად არის შერჩეული სამიზნე ჯგუფი და კვლევის მეთოდოლოგია.

2)	შინაარსობრივი შესაბამისობა	რამდენად შეესაბამება კონცეფციისა და დარგის სპეციფიკასა და თავისებურებებს.

3. **ადამიანური რესურსი** - გულისხმობს ყველა იმ პირს, რომელიც საკუთარი განათლებით, სასწავლო, შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობით უზრუნველყოფენ კონტრიბუციას პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ადამიანური რესურსის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას კონსერვატორიის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, სტუდენტთა სავარაუდო კონტიგენტის, სავარაუდო სასწავლო /შემოქმედებითი/ კვლევითი კომპონენტებისა და დატვირთვის შესაბამისობა კონსერვატორიის რეგულაციებთან, კანონისა და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

შეფასების ინდიკატორები:

	კრიტერიუმი	*განმარტება*
1)	პერსონალის კვალიფიკაცია	რამდენად შეესაბამება პროექტით გათვალისწინებული პროგრამის სფეროს, საგანმანათლებლო საფეხურს. რითი დასტურდება პერსონალის კვალიფიციურობა (გამოცდილებით, საქმიანობით, პუბლიკაციებით და სხვ.)
2)	პერსონალის თანაფარდობა	რამდენად შეესაბამება სტუდენტთა სავარაუდო კონტიგენტს, სავარაუდო სასწავლო/შემოქმედებით/კვლევით კომპონენტებს. რა არის დაგეგმილი ადამიანური რესურსების მოძიებისა და განვითარების მიზნით (საჭიროების შემთხვევაში).

4. **მატერიალური რესურსი** - დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ნივთები), რომელიც გათვალისწინებულია პროექტის მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება დარგის სპეციფიკას.

შეფასების ინდიკატორები:

	კრიტერიუმი	*განმარტება*

1)	მატერიალური რესურსის შესაბამისობა	რამდენად შეესაბამება პროექტით გათვალისწინებული პროგრამის სპეციფიკასა და საჭიროებებს; რამდენად შეესაბამება სტუდენტთა სავარაუდო კონტიგენტს.

5. **ბიუჯეტი** - შემოსავლებისა და გასავლების ჩამონათვალია, რომელიც განისაზღვრება კონკრეტული დროის პერიოდით. პროექტის ბიუჯეტი უნდა ითვალისწინებდეს ხარჯვით ნაწილს და მნიშვნელოვანია მოიცავდეს: ა) შრომის ანაზღაურება (მათ შორის საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ შტატგარეშე პერსონალზე); ბ) საქონელი და მომსახურება; გ) სტიპენდია; დ) სხვა მიმდინარე ხარჯებს;

საგანმანათლებლო პროგრამა

1. **საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი კომპონენტებია:**

- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად, (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში, (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი (აკადემიური, პროფესიული, დამატებითი და ა.შ.);
- სწავლების ენა (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- პროგრამის ECTS კრედიტების მოცულობა (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- პროგრამაზე დაშვების/მიღების წინაპირობა (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- პროგრამის მიზანი (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- პროგრამის სწავლის შედეგი (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- სწავლისა და სწავლების მეთოდები (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და მეთოდები (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- პროგრამის დასაქმების სფერო (იხ. სარეკომენდაციო ფორმა);
- სასწავლო გეგმა;
- ბიუჯეტი;

პროგრამას თან უნდა ახლდეს:

- სასწავლო, შემოქმედებითი ან/და კვლევითი კომპონენტების სილაბუსები;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური (პერსონალის სია და CV-ები) და მატერიალური რესურსის შესახებ.
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამის სამუშაო ჯგუფის შესახებ ინფორმაცია (პროცესის მოკლე აღწერა და ოქმები);

2. საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ფორმა

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს სწავლის სფეროსა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან.
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	საჭიროა განისაზღვროს მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. (იხ. ბრძანება №69/ნ).
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	უნდა განისაზღვროს პროგრამის მოცულობა კრედიტებში, მიეთითოს პროგრამაზე სწავლისათვის გათვალისწინებული სემესტრების მინიმალური რაოდენობა. ასევე, საჭიროა გაიწეროს პროგრამის სტრუქტურა/ნაწილები და მათი მოცულობა კრედიტებში (იხ. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (ბრძანება№69/ნ, ECTS-ის სახელმძღვანელო).
სწავლების ენა	პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე[1]. საჭიროა მიეთითოს რა ენაზე მიმდინარეობს სწავლება.
პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი	პროგრამას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე ხელმძღვანელი - თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[2]	პროგრამაზე მიღების წინაპირობები უნდა იყოს გამჭვირვალე და ის უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, განისაზღვროს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები (მაგალითად, წერითი/ზეპირი/კომბინირებული გამოცდა სპეციალობაში[3], უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე, სამაგისტრო პროგრამისათვის რომელ სფეროში/დარგში უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი და სხვ.). უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს შესაბამისი უცხოური ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე.
საგანმანათლებლო პროგრამის	პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას, პროგრამის მიზნები უნდა ასახავდეს,

[1] საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან; უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება.

[2] პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით

[3] საგამოცდო მოთხოვნები შესაბამის ლიტერატურასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი, უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი.

მიზანი	თუ რა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უნდა გააჩნდეს კურსდამთავრებულს.
სწავლის შედეგები	სწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას (იხ. ბრძანება №69/ნ). სწავლის შედეგებში უნდა აისახოს - ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საჭიროა მიეთითოს ინფორმაცია სწავლის გაგრძელების შესაძლებლობებზე.
ა) ცოდნა და გაცნობიერება	გულისხმობს სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და შემოქმედებითი პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგს.
ბ) უნარები	გულისხმობს კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემები გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობას.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	გულისხმობს ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენებას, ასევე, სტუდენტის/კურსდამთავრებულის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის გაცნობიერებას კეთილსინდისიერების კულტურის განვითარების პროცესში, მათ შორის პლაგიატის პრევენციას, ამასთან შემოქმედებით გაერთიანებებში აქტივობასთან მიმართებში
სწავლება-სწავლის მეთოდები	პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლებისა და სწავლის ფორმების/მეთოდების მითითების დროს სასურველია, გამოყენებულ იქნას მეთოდები ამა თუ იმ მიმართულების/დარგის/ქვედარგის სპეციფიკის გათვალისწინებით (სწავლების ფორმებია: სალექციო, პრაქტიკული მეთოდი, რეპეტიცია, ელექტრონული სწავლების მეთოდი, ინდივიდუალური მეთოდი, სასემინარო მეთოდი, დისკუსია/დებატები და სხვ). რეკომენდებულია ევროპული და აშშ-ს შესაბამისი სააკრედიტაციო სააგენტოებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების/სტანდარტების გამოყენება, რომლებშიც მითითებულია შესაბამისი სწავლებისა და სწავლის მეთოდები. სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია ხელს უნდა უწყობდეს სწავლებისა და კვლევის სწავლებისა და შემოქმედებითის ნაწილის ინტეგრაციას. სწავლა-სწავლების მეთოდები უნდა იყოს მოქნილი და ითვალისწინებდეს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
შეფასების სისტემა[4]9	დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული

[4] პროგრამის საფეხური, პროგრამის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლა-სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემა ბმაში უნდა იყოს ერთმანეთთან და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

	შეფარდებით[5]10 უნდა ითვალისწინებდეს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა[6]11 – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
დასაქმების სფეროები	განსაზღვრული უნდა იყოს სად შეიძლება დასაქმდეს სტუდენტი.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ხოლო საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უმაღლესი განათლების პირველი, მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა მთავრობასთან შეთანხმებით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის ბიოგრაფიული მონაცემები დანართის სახით და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები [7]. უცხოენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შემთხვევაში დამატებით დგინდება უცხოური ენის ცოდნა[8]. ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ დანართის (იხ. ქვევით) შესაბამისად (შენობის/შენობების მისამართი, უდიტორიების,

[5] შეფასებების შეფარდება შეიძლება იცვლებოდეს საგნის, საგანმანათლებლო პროგრამის (კურსის) ან მოდულის მიხედვით.

[6] სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, ითვლება ჩაჭრილად.

[7] შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც შეიძლება დადგინდეს ამ პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან პროფესიული გამოცდილებით.

[8] უცხოური ენის ცოდნა შეიძლება დადგინდეს შემდეგი გზით: უცხოური ენის არანაკლებ B1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო აღიარების სერტიფიკატი, ან უცხოეთის და/ან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია, ან გრძელვადიანი მივლინება უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (არანაკლებ ერთი სასწავლო სემესტრისა, გაცვლითი პროგრამა), ან სასწავლო კურსის/საჯარო ლექციების წაკითხვა უცხოეთის და/ან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ან საჯარო ლექციის წაკითხვა, მოხსენების გაკეთება უცხოურ ენაზე და სხვ.

	ლაბორატორიების და ა.შ. ჩამონათვალი, შესაბამისი ტექნიკის ჩამონათვალი, საბიბლიოთეკო რესურსების აღწერილობა, ელექტრონული რესურსების აღწერილობა, პროგრამის პროფილის შესაბამისი ელექტრონული პროგრამების აღწერილობა და სხვ.). ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე პროგრამაში უნდა მიეთითოს რამდენი სტუდენტის მიღებაა შესაძლებელი.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის ფინანსურხარჯზე. აღნიშნულ ინფორმაციას ამზადებს პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი, თსკ-ს ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	დამატებითი ინფორმაციის სახით პროგრამაში შესაძლოა აღწერილ იქნას პროგრამის განსაკუთრებულად ძლიერი მხარეები. მაგ. საერთაშორისო თანამშრომლობა, შემოქმედებით ინდუსტრიენბთან თანამშრომლობა, და სხვ.

3. სასწავლო გეგმის სარეკომენდაციო ფორმა

სასწავლო გეგმა წარმოადგენს დეტალურ ინფორმაციას სწავლების შინაარსის, ორგანიზებისა და ფორმის შესახებ.

საბაკალავრო პროგრამა შესაძლებელია აგებული იყოს ერთ-ერთი შემდეგი პრინციპით: ა) სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტები; ბ) სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით), დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები და თავისუფალი კომპონენტები; გ) სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულები (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და დამატებითი პროგრამა (არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 კრედიტი)/დამატებითი პროგრამები.

სამაგისტრო პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია/კონცენტრაციები, რაც გულისხმობს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/საგნების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას უნდა გააჩნდეს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში. საგანმანათლებლო პროგრამაში კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის ამ პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

სასწავლო გეგმა[9]

ფაკულტეტი:
მიმართულება:
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
სწავლების საფეხური:
კრედიტების რაოდენობა:
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი:
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):

---

[9] სასწავლო გეგმა შეიძლება წარმოდგენილ იქნას პროგრამის სტრუქტურის I, II ან III ვარიანტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებების და/ან სწავლების საფეხურის მიხედვით.

პროგრამის სტრუქტურა (I ვარიანტი)

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი													
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა						სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	საემესტრი		ლექტორი
				საკონტაქტო			გამოცდა	დამოუკიდებელი	სულ		შემოდგომა	გაზაფხული	
				ლექცია	სემინარი	ინდივიდუალური							

პროგრამის სტრუქტურა (II ვარიანტი)

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი																			
N				სტუდენტის საათობრივი დატვირთვა						სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	საემესტრი								ლექტორი
				საკონტაქტო			გამოცდა	დამოუკიდ ებელი	სულ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	ლექცია	სემინარი	ინდივიდუალური													

პროგრამის ხელმძღვანელის / თანახელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა:

სასწავლო დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერა:
ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა:
თსკ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

თარიღი:
ბეჭედი:

4. სილაბუსის სარეკომენდაციო ფორმა

სასწავლო კურსის / მოდულის/ კომპონენტის სახელწოდება/კოდი	სასწავლო კურსის / მოდულის / კომპონენტის დასახელება
საგანმანათლებლო პროგრამა	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ფაკულტეტი/ფაკულტეტები	ფაკულტეტის დასახელება
სწავლების საფეხური	(ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური) / მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური) / დოქტორანტურა (უმაღლესი განათლების III საფეხური)
სწავლების სემესტრი	(კურსის / მოდულის / კომპონენტის განსახორციელებლად პროგრამით განსაზღვრული სემესტრი)
ლექტორი/ლექტორები	სასწავლო კურსის/კომპონენტის განმახორციელებლი პერსონალის სახელი, გვარი, კვალიფიკაცია, სტატუსი (აკადემიური პოზიცია / მოწვეული ლექტორი), საკონტაქტო ინფორმაცია, სტუდენტთან საკონსულტაციო საათები (მინიმუმ 2 საათი კვირაში), საკონსულტაციო შეხვედრების დროის და ადგილის მითითებით
სილაბუსის ავტორი	სახელი და გვარი
სასწავლო კურსის /მოდულის /კომპონენტის სტატუსი	სავალდებულო / არჩევითი
ECTS კრედიტების რაოდენობა (სემესტრების მიხედვით)	კურსის / მოდულის /კომპონენტისთვის განკუთვნილი კრედიტების მოცულობა და სამუშაო საათების განაწილება
სასწავლო კურსის/კომპონენტის მიზანი	სასწავლო კურსის / მოდულის/ კომპონენტის მიზნის მოკლე აღწერა
სასწავლო კურსის/ მოდულის /კომპონენტის შესწავლის	კურსის / მოდულის/ კომპონენტის შინაარსის ასათვისებლად აუცილებელი წინაპირობა

წინაპირობები	
სასწავლო კურსის/ მოდულის /კომპონენტის შინაარსი	15 სასწავლო კვირის განმავლობაში ლექტორის მიერ დაგეგმილი სასწავლო თემების, საკითხებისა და აქტივობების ნუსხა შესაბამისი ძირითადი ლიტერატურის მითითებით. სპეციფიკური დარგობრივი საგნების შემთხვევაში შესაძლებელია დასახელდეს რეპერტუარი ეპოქების, ფორმებისა და სტილების მიხედვით.
სწავლების მეთოდები	სწავლა-სწავლების მეთოდების შერჩევისას გასათვალისწინებელია სწავლების საფეხური. სამაგისტრო საფეხურის დისციპლინათა გარკვეული ნაწილი ორიენტირებული უნდა იყოს კვლევის უნარების განვითარებაზე, რასაც წინ უნდა უძღოდეს კვლევითი კომპეტენციის განმავითარებელი სწავლების მეთოდები. სწავლების მეთოდის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ: ა) რამდენი საათია გამოყოფილი ამა თუ იმ დისციპლინის სწავლებისათვის; ბ) ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა; გ) რამდენად უზრუნველყოფს შერჩეული მეთოდი დასახული შედეგის მიღწევაში; დ) შეესაბამება თუ არა შერჩეული სწავლების მეთოდი სასწავლო აქტივობას; ე) შეესაბამება თუ არა ჩვენ შერჩეული მეთოდი სტუდენტთა ინტერესებსა და გამოცდილებას; ვ) ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები); სწავლების მეთოდებია: **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, რეპეტიცია, ინდივიდუალური მუშაობის მეთოდი, გუნდური მუშაობის მეთოდი, ამობრუნებული მეთოდი (Flipped learning), სიმულაცია, როლური თამაში, კოლეგის შეფასება (Peer Review), პროცესზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი (POGIL), დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი და სხვ.**
შეფასების მეთოდები	შეფასება ორგვარია: განმავითარებელი (ფორმატული) და განმსაზღვრელი (შემაჯამებელი) შეფასება. განმავითარებელი შეფასება უზრუნველყოფს სტუდენტის პროგრესიას. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება კურსის დასაწყისში და/ან მიმდინარეობისას. სწავლის პროცესში სტუდენტთა მიღწევების შეფასება ეხმარება ლექტორს მიიღოს გადაწყვეტილება სწავლების მიმართულებების გაუმჯობესების შესახებ. განმავითარებელი შეფასების ნიმუშია ნებისმიერი შუალედური შეფასების მეთოდი, რომელსაც ლექტორი იყენებს სწავლების პროცესის შესაფასებლად კურსის დასრულებამდე. განმავითარებელი შეფასების აუცილებელი პირობაა ლექტორის მიერ გაწეული უკუკავშირი სტუდენტისათვის. უკუკავშირის გარეშე შუალედური შეფასება ვერ ასრულებს თავის ფუნქციას და რჩება შეფასებად შეფასებისათვის. განმსაზღვრელი შეფასება არის შეფასება, რომელიც აჯამებს სტუდენტის მიერ გარკვეულ დონეზე შესწავლილ

	საკითხს დროის განსაზღვრულ მონაკვეთში, როგორც წესი, სასწავლო კურსის დასრულებისას. შეფასების მეთოდებია: **ზეპირი გამოკითხვა, წერითი გამოკითხვა, პორტფოლიო, კონცერტი, გენერალური რეპეტიცია და სხვ.**
სწავლის შედეგები	სწავლის შედეგები უნდა იყოს **მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი**; ამ სამი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით სწავლის შედეგები გაწერილი უნდა იყოს სამ პუნქტად: 1. ცოდნა და გაცნობიერება; 2. უნარი; 3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. იმის და მიხედვით, თუ რას ისაზავს მიზნად სასწავლო კურსი/მოდული/ კომპონენტი შესაძლებელია რომ სილაბუსში გაწერილი იყოს ერთი ან ორი პუნქტი. როგორც წესი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა არ არის სავალდებულო რომ ყველა დისციპლინაში ფიგურირებდეს. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოიყენეთ აქტიური ზმნები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება აწმყო (ახლანდელ) დროში. სასურველია სწავლის შედეგების ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს ათს (10). სპეციფიკური დარგობრივი მოდულების შემთხვევაში შესაძლებელია სწავლის შედეგები გარკვეულწილად ემთხვეოდეს წინა ან/და მომდევნო სემესტრის სწავლის შედეგებს, ვინაიდან დარგობრივი დისციპლინების უმეტესობა ორიენტირებულია სწავლის შედეგებში დაოსტატებაზე.
ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა	ძირითადი ლიტერატურა უნდა იყოს მითითებული სრულყოფილად და სრულად. სავალდებულო ლიტერატურა უნდა იყოს ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში რამდენიმე ეგზემპლარად. დამატებითი ლიტერატურა შესაძლოა დასახელდეს საჭიროების შემთხვევაში; შესაძლებელია Online რესურსების მითითებაც (ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით). ძირითადი ლიტერატურის მითითებისას შესაძლებელია დასახელდეს კონკრეტული თავები, ნაცვლად გვერდებისა.
დამატებითი ინფორმაცია	სასურველია სილაბუსში დაფიქსირდეს ყველა საჭირო ან/და დამატებითი პირობა, მაგალითად: აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული ინფორმაცია; საკონსულტაციო საათებთან დაკავშირებული ინფორმაცია; შეფასების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა.

5. **სწავლის შედეგების რუკის სარეკომენდაციო ფორმა**

	პროგრამის სწავლის შედეგი 1	**პროგრამის სწავლის შედეგი 2**	**პროგრამის სწავლის შედეგი 3**	**პროგრამის სწავლის შედეგი 4**	**პროგრამის სწავლის შედეგი 5**	**პროგრამის სწავლის შედეგი 6**	**პროგრამის სწავლის შედეგი 7**
სასწავლო კურსი 1							
სასწავლო კურსი 2							
სასწავლო კურსი 3							
სასწავლო კურსი 4							
სასწავლო კურსი 5							
სასწავლო კურსი 6							
საკვალიფიკაციო ნაშრომი							

1- Emerging; 2 – Developing; 3 – Proficient;

6. **პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, სარეკომენდაციო ფორმა**

პროგრამის მიზანი / **პროგრამის შედეგი**	პროგრამის მიზანი 1	პროგრამის მიზანი 2	პროგრამის მიზანი3	პროგრამის მიზანი 4	პროგრამის მიზანი 5	პროგრამის მიზანი 6
პროგრამის შედეგი 1						
პროგრამის შედეგი 2						
პროგრამის შედეგი 3						
პროგრამის შედეგი 4						
პროგრამის შედეგი 5						
პროგრამის შედეგი 6						

7. საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის სარეკომენდაციო ფორმა

წელი:	
პროგრამა:	
შემოსავალები და ხარჯები (ლარში) -	
სტუდენტების რაოდენობა	
სწავლის საფასური	
შემოსავალები/პროგრამული დაფინანსება	
სულ ხარჯები	
სულ სამეცნიერო და კვლევითი ხარჯი	
სულ საგანმანათლებლო/სასწავლო/და სხვა ხარჯები	
პირდაპირი ხარჯები	
შრომის ანაზღაურება (პროგრამის აკადემიური პერსონალი)-საგანმანათლებლო	
სამეცნიერო/კვლევის ხარჯი	
მათ შორის: შრომის ანაზღაურება პროგრამის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო	
შრომის ანაზღაურება (საათობრივად მოწვეული პერსონალი	
სულ	
ბალანსი პირდაპირი ხარჯების	
შრომის ანაზღაურება (ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი)	
შრომის ანაზღაურება (ფაკულტეტის დამხმარე პერსონალი)	
სამეცნიერო/კვლევის ხარჯი	
მათ შორის: წიგნების/ დამხმარე ლიტერატურის შეძენის ხარჯი	

მათ შორის: ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მივლინება	
მათ შორის: ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები	
მათ შორის: სესიების, კონფერენციების, სემინარების , საკონცერტო დარბაზების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	
წარმომადგენლობითი ხარჯები	
სტუდენტური სწავლის დაფინანსების, გაცვლითი პროგრამების, პრაქტიკის, ექსპედიციის, საოპერო სტუდიის, ორკესტრის და სხვადასხვა კულტურულ სპორტული ღონისძიებების დაფინანსების ხარჯები	
სულ	
სულ ხარჯები	

8. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სარეკომენდაციო ფორმა

ფაკულტეტი:				
დეპარტამენტი:				
საანგარიშო პერიოდი:				
	ადგილმდებარეობა (კორპუსი / ოთახის ნომერი)	არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერა	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის/რესურსის გაუმჯობესების აღწერა	იმ პროგრამების ჩამონათვალი, რომლებსაც ემსახურება ბაზა
სალექციო და პრაქტიკული სივრცე				
კომპიუტერული კლასები				
ლაბორტორიული სივრცე (მიუთითეთ ლაბორატორიის დასახელება)				
თსკ-ს გარეთ არსებული პრაქტიკის ბაზები				
დარბაზები				
სტუდიები				
აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე				
საპროფესორო				
სხვ				
საბიბლიოთეკო ფონდი[10]				

[10] ციფრული ბიბლიოთეკის შემთხვევაში მიეთითება ვებგვერდის მისამართი (მათ შორის ციფრული ბიბლიოთეკა)

დანართი №4

პროგრამის შეფასების ინდიკატორები

მიზანი					
№	ინდიკატორები	შესაბამისი	მეტნაკლებად შესაბამისი	შეუსაბამო	შენიშვნა
1.	პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია.				
2.	პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;				
3.	პროგრამის მიზნები შეესაბამება კონსერვატორიისა და ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას;				
4.	პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს;				
5.	პროგრამის მიზნებში ასახულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;				
შედეგები					
	ინდიკატორები	**შესაბამისი**	**მეტნაკლებად შესაბამისი**	**შეუსაბამო**	**შენიშვნა**
6.	პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას;				

7.	პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური და შესაბამისობაშია შეფასების მეთოდებთან;				
8.	პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;				
9.	პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;				
10.	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ				
სწავლის შედეგების შეფასება					
	ინდიკატორი	**შესაბამისი**	**მეტნაკლებად შესაბამისი**	**შეუსაბამო**	**შენიშვნა**
11.	პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის და ხორციელდება მათი შესაბამისობის შედარება სწავლის შედეგების შეფასების შედეგებთან				
12.	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოყენება პროგრამის განვითარების მიზნებისთვის				
პროგრამაზე დაშვების პირობა					
	ინდიკატორი	**შესაბამისი**	**მეტნაკლებად შესაბამისი**	**შეუსაბამო**	**შენიშვნა**
13.	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;				

14.	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;				
პროგრამის შინაარსი					
	ინდიკატორები	**შესაბამისი**	**მეტნაკლებად შესაბამისი**	**შეუსაბამო**	**შენიშვნა**
15.	პროგრამა აგებულია კონსერვატორიის რეგულაციის შესაბამისად				
16.	პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს;				
17.	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას; სამაგისტრო და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, დაწესებულება უზრუნველყოფს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას;				
18.	ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს;				
19.	თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს;				
20.	თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს;				
21.	თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი				

	საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;				
22.	თითეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს შესაბამის შეფასების მეთოდს.				
23.	სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს;				
24.	სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებს; ასევე ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში/დარგში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.				
25.	პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, შემოქმედებითი უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას;				
26.	პროგრამის პრაქტიკული, შემოქმედებითი კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის				

	შედეგების შესაბამისად;				
27.	დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, ასევე პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას.				
28.	თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;				
29.	შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, შესაბამისი რუბრიკაბი გაწერილია სილაბუსებში და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის;				

დანართი №5

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორები

პროგრამის განხორციელების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი ინდიკატორების გამოყენებით:

1. პროგრამის სტუდენტების რაოდენობა (საერთო რაოდენობა, აქტიური, სტატუსშეჩერებული), მათ შორის საქართველოს მოქალაქე, უცხო ქვეყნის მოქალაქე, მამრობითი, მდედრობითი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირი, სოციალურად მოწყვლადი;
2. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
3. პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა;
4. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა;
5. პროგრამის მონაწილე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
6. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
7. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში (სავალდებულო და არჩევითი საგნები, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომი, შემოქმედებითი პროექტი, პრაქტიკა და სხვ.) სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
8. პროგრამის სტუდენტების ფაკულტეტის სხვა პროგრამაზე გადასვლის მაჩვენებელი (შიდა მობილობის მაჩვენებელი);
9. პროგრამის სტუდენტების სხვა ფაკულტეტზე გადასვლის მაჩვენებელი;
10. პროგრამის სტუდენტების სხვა უსდ-ში გადასვლის მაჩვენებელი;
11. პროგრამაზე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/დოქტორანტობის კანდიდატების რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა;
12. პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისა და ამავე პროგრამის კურსდამთავრებულთა თანაფარდობა;
13. პრაქტიკის/სტაჟირების/სხვა სასწავლო კომპონენტის გავლის შემდგომ იმავე დაწესებულებაში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი (არსებობის შემთხვევაში);

14. პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის საშუალო ქულა (GPA);
15. გარე ქართველი და უცხოელი სპეციალისტების შეფასება (არსებობის შემთხვევაში);
16. დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
17. პროგრამის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
18. პროგრამის კურსდამთავრებულების პროგრამის პროფილის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი;
19. პროგრამის კურსდამთავრებულების არაპროფილურად დასაქმების მაჩვენებელი;
20. პროგრამის სტუდენტების დასაქმების მაჩვენებელი;
21. კურსდამთავრებულთა მიერ სალიცენზიო გამოცდების ჩაბარების მაჩვენებელი;
22. კურსდამთავრებულთა მიერ სწავლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მაჩვენებელი და სხვ.

სწავლის შედეგების შეფასება

1. სასწავლო დისციპლინის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მიზნით, აკადემიური სემესტრის დასასრულს აკადემიური და მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შედეგების მიღწევის ანგარიშის მომზადებას სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზის საფუძველზე. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სტუდენტების მიღწევების ძლიერი და სუსტი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი საკითხების შესახებ.

2. სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სასწავლო, შემოქმედებით და კვლევით კომპონენტებში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების ანალიზის გზით. აღნიშნული ანალიზი ითვალისწინებს სტუდენტთა შუალედურ და დასკვნით შეფასებათა მონაცემების დამუშავებასა და პროცენტული განაწილების დინამიკის შესწავლას ნორმალური განაწილების, იგივე გაუსის განაწილების საშუალებით, რომელიც გამოსახულია შემდეგ გრაფიკაზე:



3. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია სტუდენტთა სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ანგარიში წარუდგინოს პროგრამის ხელმძღვანელს სასწავლო სემესტრის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

4. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის ფარგლებში არსებული სასწავლო დისციპლინების ანგარიშებისა და არაპირდაპირი შეფასების შედეგების წარდგენას პროგრამის სამუშაო ჯგუფისადმი.

5. პროგრამის სამუშაო ჯგუფი ანგარიშის მოსმენისა და რეაგირების მიზნით იკრიბება მომდევნო აკადემიური სემესტრის დაწყებამდე.

6. პროგრამის სამუშაო ჯგუფი პროგრამის შედეგების შეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში იმუშავებს რეკომენდაციებს და იღებს გადაწყვეტილებებს შემდგომი ღონისძიებების შესახებ.

7. პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, საჭიროების შემთხვევაში, წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და კონსერვატორიის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

8. აკადემიურ დაბჭოზე დამტკიცებული პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან ერთად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და წარუდგენს კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს.

9. კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების მონიტორინგს და შესაბამის ანგარიშს.

10. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის მონიტორინგის ანგარიში წარედგინება კონსერვატორიის რექტორს და აკადემიურ საბჭოს ყოველი კალენდარული წლის ბოლოს.